ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 339

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითრების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 **მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,** მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითრების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №18.881.1257 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550), სარდაფის სართულზე არსებული 376 კვ.მ ფართის (მათ შორის I დონე 319.76 კვ.მ და II დონე 56.48 კვ.მ), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითრების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი

განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან) 2 (ორი) წლის ვადაში არანაკლებ 235 000 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**